ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1932 წ. მარტის 31. № 5 ნაწილი პირველი

შინაარსი

სახელმწიფო წყობილება და მმართველობა.

44. ქალაქ ტფილისის სარაიონო საბჭოების შესახებ.

45. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების საადგილ-მამულო განყოფილების შედგენილობაში სტატისტიკოსის თანამდებობის დაარსების შესახებ.

სამოქალაქო სამართალი.

46. სამოქალაქო სამართლის კოდექსის 322 მუხლის რედაქციის შეცვლისა და იმავე კოდექსის 323—366[102] მუხლების გაუქმების შესახებ.

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა.

47. „მიწების ჩამორთმევის დროს ზარალისა და გამოუყენებელი დანახარჯის ანაზღაურების წესის თაობაზე“ გამოცემული დადგენილების დამატების შესახებ.

48. საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისარიატ-ა საბჭოსთან არსებული, კოლხიდის დაბლობის დაშრობისა და სამეურნეოდ გამოყენების ხელშემწყობი კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული, კოლხიდის დაბლობის დაშრობისა და სამეურნეოდ გამოყენების ხელშემწყობი კომიტეტის შესახებ.

49. კოლხიდის დაბლობის დაშრობის სამშენებლო სამმართველოს (კოლხიდმშენის) დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

დებულება კოლხიდის დაბლობის დაშრობის სამშენებლო სამმართველოს (კოლხიდმშენის) შესახებ.

სასამართლო წყობილება და სამართლის წარმოება.

50. „ფაბრიკასა, ქარხანასა, სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებასა და საწარმოში მომქმედი საწარმოო-საამხანაგო სასამართლოების თაობაზე“ გამოცემული დადგენილების მე-13 მუხლისათვის „ზ“ პუნქტის დამატების შესახებ.

51. „საბინაო კოოპერატიულ ამხანაგობებთან და სახელმწიფო და მუნიციპალურ სახლებში არსებული საამხანაგო სასამართლოების თაობაზე“ გამოცემული დადგენილების შეცვლისა და დამატების შესახებ.

52. სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლისათვის მე-2 შენიშვნის დამატების შესახებ.

ტფილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო წყობილება და მმართველობა

44. დადგენილება ც.ა.კ.

ქალაქ ტფილისის სარაიონო საბჭოების შესახებ.

პროლეტარული დიქტატურის უმთავრესი ორგანოების—დეპუტატთა საბჭოების მუშაობის საფუძვლიანი რეორგანიზაცია და საბჭოების გარდაქმნა სოციალისტური მშენებლობის ორგანიზატორებად ისე, რომ ამ მშენებლობის თვითეულ დარგში უზრუნველყოფილ იყოს კონკრეტული ოპერატიული ხელმძღვანელობა, ჰგულისხმობს საბჭოთა აპარატის მშრომელთა ფართო მასებთან დაახლოებას, ამ მასების გაძლიერებული რევოლიუციონური აქტივობის გამოყენებას და მათ თანდათან უფრო მეტად ჩაბმას სახელმწიფო მმართველობის საქმეში. ყოველივე ამისათვის კი აუცილებელ პირობას წარმოადგენს საბჭოების მიქცევა პირით წარმოებისაკენ, შრომის ახალი სოციალისტური მეთოდების გაშლა, სექციებისა და დეპუტატთა ჯგუფების განმტკიცება, დეპუტატების და სექციების წევრთა მონაწილეობა საბჭოების ოპერატიულ მუშაობაში, წარმოებასთან დაუშორებლად, სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესება და ბიუროკრატიზმის აღმოფხვრა.

აღნიშნული მიზნების განსახორციელებლად და ამისათვის სათანადო პირობების შესაქმნელად, ქალაქ ტფილისის ტერიტორიაზე დაარსებულია ოთხი სარაიონო საბჭო. ქალაქის სარაიონო საბჭოების უმთავრესი ამოცანაა საწარმოო-საფინანსო გეგმების შესრულების უზრუნველყოფა, რაიონის კომუნალური და საბინაო მეურნეობის გაუმჯობესება და განვითარება, სასკოლო და სამკურნალო საქმის მოწყობა.

ტფილისის ქალაქის სარაიონო საბჭოების მუშაობის მოსაწესრიგებლად და საერთო საქალაქო საბჭოსთან მათი ურთიერთობის დასამყარებლად, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, ა/კ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ „ქალ. ტფილისში ოთხი სარაიონო საბჭოს მოწყობის შესახებ“ 1931 წ. დეკემბრის 22-ის თარიღით გამოცემული დადგენილების თანახმად („ზარია ვოსტოკა“ 1931 წ. დეკემბრის 28-ისა), ადგენს:

ქალაქ ტფილისის სარაიონო საბჭოების მუშაობა მოეწყოს შემდეგი მუხლების საფუძველზე:

1. ქალაქ ტფილისის სარაიონო საბჭო თავის გამგებლობის ფარგლებში სათანადო ტერიტორიაზე არის ხელისუფლების უმაღლესი ორგანო და აერთიანებს მთლად მშრომელ მოსახლეობას ადგილობრივ და სახელმწიფო მმართველობასა და სოციალისტურ მშენებლობაში მონაწილეობის მისაღებად.

2. სარაიონო საბჭოები ექვემდებარებიან ტფილისის საქალაქო საბჭოს და მის პრეზიდიუმს.

3. სარაიონო საბჭოს და მისი პრეზიდიუმის დადგენილება მათი გამგებლობის ფარგლებში სავალდებულოა მათ ტერიტორიაზე არსებული ყველა დაწესებულებისა და საწარმოსათვის და შეიძლება გაუქმებულ იქნეს მხოლოდ ტფი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლისის საქალაქო საბჭოს, მისი პრეზიდიუმის და ხელისუფლების ზემდგომი ორგანოების მიერ.

4. სარაიონო საბჭოს აქვს იურიდიული პირის უფლება.

5. სარაიონო საბჭოს აქვს საკუთარი ბიუჯეტი, რომელსაც იმუშავებს და ამტკიცებს სარაიონო საბჭო ტფილისის საქალაქო საბჭოს დირექტივების თანახმად. დამტკიცებული სარაიონო ბიუჯეტი წარდგენილ უნდა იქნეს ტფილისის საქალაქო საბჭოში.

6. სარაიონო საბჭოების გამგებლობაში, ტფილისის საქალაქო საბჭოს დადგენილებით, გადაცემულ უნდა იქნეს ქალაქის ყველა საწარმო (სამრეწველო, კომუნალური და სხვ.) და სოციალურ-კულტურული დაწესებულება, გარდა იმ საწარმოსი და დაწესებულებისა, რომელსაც საერთო საქალაქო მნიშვნელობა აქვს, და მათვე უნდა დაეკისროს მმართველობის და სახალხო მეურნეობის სფეროში ყველა იმ ღონისძიების განხორციელება, რაც შეიძლება განხორციელებულ იქნეს რაიონის მასშტაბით.

7. სარაიონო საბჭო ხელმძღვანელობას უწევს ყველა სარაიონო საწარმოსა და დაწესებულებას (მ. 6) და აგრეთვე ანხორციელებს საერთო მეთვალყურეობასა და კონტროლს იმ დაწესეულებათა და საწარმოთა მუშაობის მიმართ, რომელნიც სათანადო რაიონის ტერიტორიაზე იმყოფებიან და სარაიონო საბჭოს არ ექვემდებარებიან.

8. სარაიონო საბჭო ირჩევს პრეზიდიუმს რიცხვით არა უმეტეს 15 კაცისა.

9. მმართველობისა და მეურნეობის ცალკეული დარგების სამუშაოთა შესასრულებლად რაიონის ფარგლებში სარაიონო საბჭოს შედგენილობაში ეწყობა შემდეგი განყოფილებები: ა) საფინანსო, ბ) კომუნალური, გ) სახალხო განათლების და დ) ჯანმრთელობისა. განყოფილებები უშუალოდ ექვემდებარებიან სარაიონო საბჭოს პრეზიდიუმს. თავის მუშაობაში ისინი ხელმძღვანელობენ როგორც სარაიონო საბჭოს და მისი პრეზიდიუმის დირექტივებს, ისე ტფილისის საქალაქო საბჭოს და მისი პრეზიდიუმის დირექტივებს.

შენიშვნა. სარაიონო საბჭოსთან განწესებული მილიციის სარაიონო სამმართველო უშუალოდ ექვემდებარება ტფილისის საქალაქო მილიციის უფროსს, მაგრამ იმავე დროს ვალდებულია თავის მუშაობაში იხელმძღვანელოს სარაიონო საბჭოს დირექტივები.

10. სარაიონო საბჭოს პრაქტიკულ ოპერატიულ მუშაობაში მშრომელთა ფართო მასების ჩასაბმელად და სარაიონო საბჭოს მიერ განსახილველი საკითხების წინასწარ დასამუშავებლად სარაიონო საბჭოსთან არსდებიან სექციები საბჭოს მუშაობის ცალკეული დარგების მიხედვით.

სარაიონო საბჭოს განყოფილებათა ხელმძღვანელების თანაბრად სექციები პასუხისმგებელ არიან სათანადო განყოფილებების მუშაობისათვის.

სექციის დადგენილება, უკეთუ სათანადო განყოფილების გამგე მისი წინააღმდეგი არ არის, სავალდებულოა განყოფილებისათვის და დაუყოვნებლივ უნდა იქნეს განხორციელებული. უკეთუ განყოფილების გამგე დადგენილების

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინააღმდეგია, საკითხი გადასაწყვეტად გადატანილ უნდა იქნეს სარაიონო საბჭოს პრეზიდიუმში.

სექციების მუშაობა უნდა სწარმოებდეს ჯგუფური და ბრიგადული მეთოდების მიხედვით.

11. რაიონის ტერიტორიაზე მდებარე ფაბრიკებში, ქარხნებში, სხვა საარმოებში, საბჭოთა დაწესებულებებში და უმაღლეს სასწავლებლებში უნდა მოეწყოს, როგორც საბჭოს მასიური ორგანო, დეპუტატთა ჯგუფები. ამ ჯგუფების შედგენილობაში შედიან ტფილისის საქალაქო საბჭოს წევრები, სარაიონო საბჭოს წევრები და სექციებში მოწვეული მუშათა და მშრომელთა აქტივის წარმომადგენლები, რომელნიც სათანადო ორგანიზაციაში მუშაობენ.

12. სარაიონო საბჭო ვალდებულია ანგარიში თავისი მუშაობის შესახებ ჩააბაროს როგორც ტფილისის საქალაქო საბჭოს, ისე ამომრჩევლებს ყოველ ნახევარ წელში ერთხელ.

ზემდგომ ორგანიზაციებთან სარაიონო საბჭოს ურთიერთობა აქვს ტფილისის საქალაქო საბჭოს მეშვეობით.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1931 წ. თებერვლის 22.

ტფილისი.

---

45. დადგენილება ც.ა.კ.

სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების საადგილმამულო განყოფილების შედგენილობაში სტატისტიკოსის თანამდებობის დაარსების შესახებ.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ 1931 წ. ივლისის 13-ის „სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების საადგილმამულო განყოფილების შტატის გადიდების შესახებ“ მიღებული დადგენილების (ოქმი № 11) შესაბამისად სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. იმ რაიონებში, სადაც მოსახლეობის რაოდენობა 50.000 მცხოვრებს აღემატება, სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების საადგილმამულო განყოფილების შედგენილობაში დაარსებულ იქნეს ერთი სტატისტიკოსის თანამდებობა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ადგილობრივი ორგანოების საალნუსხვო მუშაობის საწარმოებლად.

2. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების საადგილმამულო განყოფილების შტატს, რომელიც გათვალისწინებულია სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1930 წ. სექტემბრის 19-ის დადგენილებით „სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების სტრუქტურისა, შტატებისა და მომუშავეთა სამუშაო ხელფასის განაკვეთების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე-19 №-ი, მუხ. 289), დაემატოს სტატისტიკოსის ერთი თანამდებობა, რომლის სამუშაო ხელფასის განაკვეთიც განისაზღვროს: I-ლი კატეგორიის რაიონებში 75 მანეთით, მე-II კატეგორიის რაიონებში 85 მან. და მე-III კატეგორიის რაიონებში 100 მანეთის რაოდენობით.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1932 წ. თებერვლის 22.
ტფილისი.

სამოქალაქო სამართალი

46. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 322 მუხლის რედაქციის შეცვლისა და იმავე კოდექსის 323—366[102] მუხლების გაუქმების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წლის მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების (საქ. სსრ კან. კრ. 1924 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 7) მე-2 მუხლის წესისამებრ და სააქციო საზოგადოებათა დებულების შეცვლის შესახებ გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წლის სექტემბრის 3-ის დადგენილების (სსრკ-ის კან. კრ. 1931 წ. 58 №-ი, მუხ. 373) შესაბამისად, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. სამოქალაქო სამართლის კოდექსის 322 მუხლი (კან. კრ. 1929 წ. მე-4 №-ი, მუხ. 37) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„322. საქციო საზოგადოება (საპაიო ამხანაგობა) არის იურიდიული პირი, რომელიც მოქმედობს განსაკუთრებული წესდების საფუძველზე, განსაზღვრული რიცხვის თანასწორ ნაწილად (აქციად, პაიდ) დაყოფილი საწესდებო (ძირითადი) კაპიტალით. აქციონერი (მეპაიე) პასუხს არ აგებს სააქციო საზოგადოების ვალდებულებისათვის. არც სააქციო საზოგადოება აგებს პასუხს აქციონერთა ვალდებულებისათვის.

სააქციო საზოგადოებათა დაარსების წესი, მათი კაპიტალების შექმნა, მმართველი ორგანოების მოწყობა, აქციონერთა უფლებანი და სააქციო საზოგადოებათა მოქმედებისა და მოსპობის წესი განისაზღვრება საერთო-საკავშირო კანონმდებლობის წესისამებრ (იხ. სააქციო საზოგადოებათა დებულება, დამტკიცებული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წლის აგვისტოს 17-ის დადგენილებით,— სსრკ-ის კან. კრ. 1927 წ.-49 №-ი, მუხ. 499, 500; 1928 წ. 42 №-ი, მუხ. 376,

ეროვნული ბიბლიოთეკა

380; 48 №-ი, მუხ. 423; 1929 წ. მე-5 №-ი, მუხ. 47; 20 №-რი, მუხ. 172, 173; 30 №-ი, მუხ. 273; 66 №-ი, მუხ. 616; 70 №-ი, მუხ. 656; 74 №-ი, მუხ. 706; 1930 წ. 32 №-ი, მუხ. 349; 34 №-ი, მუხ. 369; 1931 წ. 58 №-ი, მუხ. 373)".

2. სამოქალაქო სამართლის კოდექსის 323—366[102] მუხლები (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. მე-4 №-ი, მუხ. 37; მე-20 №-ი, მუხ. 233; 22 №-ი, მუხ. 259; 23 №-ი, მუხ. 285; 1930 წ. მე-9 №-ი, მუხ. 76; მე-14 №-ი, მუხ. 209; 23 №-ი, მუხ. 321) გაუქმებულ იქნეს.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. გოგია.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1932 წ. მარტის 5.
ტფილისი.

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა

47. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

„მიწების ჩამორთმევის დროს ზარალისა და გამოუყენებელი დანახარჯის ანაზღაურების წესის თაობაზე" გამოცემული დადგენილების დამატების შესახებ.

„შრომითი სარგებლობის მიწების ჩამორთმევის დროს მოსახლეობისათვის კომპენსაციის მიცემის წესის შესახებ" გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. ნოემბრის 12-ის დადგენილების შესაბამისად (ოქმი № 18, § 4), სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. მაისის 13-ის დადგენილებას „მიწების ჩამორთმევის დროს ზარალისა და გამოუყენებელი დანახარჯის ანაზღაურების წესის შესახებ" (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-12 №-ი, მუხ. 133 დაემატოს:

1. 1-ლი მუხლის შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

„**შენიშვნა.** კულაკურ მეურნეობას ქონება ჩამოერთმევა კომპენსაციის მიუცემლად".

2. 3[1] მუხლი და მისი შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

„3[1]. კომპენსაციის მიცემა შეიძლება ფულად ან ნატურით. ნატურით კომპენსაციას გაიღებენ ახალი მიწათმოსარგებლენი გადასახლებულებთან შეთანხმებით შემდეგი ფორმით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) მონაწილეობის მიღება მანქანით დამუშავებაში, დათესვაში, მოსავლის აღებაში და მინდვრების გაპატივებაში განსაზღვრულ ფართობზე განსაზღვრული დროის განმავლობაში;

ბ) ხელის შეწყობა ახლად მიჩენილ მიწებზე აგრიკულტურულ გაუმჯობესებათა ჩატარებაში;

გ) მონაწილეობის მიღება კომუნალურ შენობათა და სხვა ნაგებობათა აგებაში ტეხნიკური დახმარების სახით;

დ) მონაწილეობის მიღება გზათა და წყალთა ქსელის გაუმჯობესებაში, ელექტროენერგიით და სხვ. მომსახურეობაში.

შენიშვნა. 3¹ ზუხლში ჩამოთვლილ ვალდებულებათა აღსრულება მოხდება ახალ მიწათმოსარგებლეთა და გადასახლებულთა შორის დადებული შეთანხმების წესით".

3. მე-6 მუხლის 1-ლი და მე-2 შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

„**შენიშვნა 1.** უკეთუ მისაჩენ ნაკვეთზე სხვადასხვაგვარი ნაგებობაა და საერთოდ კაპიტალური დანახარჯია გაწეული, აგრეთვე უკეთუ მიწათმოწყობის პროექტის თანახმად, გადასახლებულთ ეძლევათ ესა თუ ის შეღავათი და უპირატესობა, კომპენსაციის რაოდენობა შემცირდება ან კომპენსაცია სრულიად არ გაიცემა".

„**შენიშვნა 2.** უკეთუ კომპენსაციის რაოდენობა გადასახლებულთათვის სახლკარის მოსაწყობად მისაცემ ჩვეულებრივ გრძელვადიან სესხზე ნაკლებია, რის გამოც გადასახლებულთ შესაძლებლობა არ ექნებათ ახალ ადგილას სახლკარი მოაწყონ ნორმალურად, აღნიშნული მეურნეობა თუ კოლექტიური მეურნეობა მთლიანად მიიღებს გრძელვადიან სესხს სახლკარის მოსაწყობად საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის საგადასახლებო კრედიტების ანგარიშზე".

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. გოგია.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1932 წ. მარტის 5.

ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

48. დადგენილება ს.კ.ს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული, კოლხიდის დაბლობის დაშრობისა და სამეურნეოდ გამოყენების ხელშემწყობი კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს ქვემომდევნო დებულება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული, კოლხიდის დაბლობის დაშრობისა და სამეურნეოდ გამოყენების ხელშემწყობი კომიტეტის შესახებ.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **რ. შომახია.**

1932 წ. თებერვლის 4.
ტფილისი.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული, კოლხიდის დაშრობისა და სამეურნეოდ გამოყენების ხელშემწყობი კომიტეტის შესახებ.

1. ყველა იმ ღონისძიების გაერთიანების მიზნით, რაც მიმართულია კოლხიდის პრობლემის სასწრაფოდ და წარმატებით გადაწყვეტისათვის, და ამ პრობლემასთან დაკავშირებული სახალხო-სამეურნეო ამოცანების გეგმიანად, თავის დროზე და მიზანშეწონილად განხორციელებისათვის ხელის შეწყობის მიზნით საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებობს კოლხიდის დაბლობის დაშრობისა და სამეურნეოდ გამოყენების ხელშემწყობი კომიტეტი.

2. აღნიშნულ კომიტეტს დაეკისრება:

ა) გააერთიანოს, შეათანხმოს და წარმართოს უწყებებისა და ორგანიზაციის მოქმედება კოლხიდის დაბლობის დაშრობასთან და სამეურნეოდ გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების გამო;

ბ) განიხილოს კოლხიდის დაბლობის დაშრობისა და სამეურნეოდ გამოყენების სამუშაოთა (საკვლევო, საძიებლო და სამშენებლო) გეგმები და პროგრამები;

გ) განიხილოს ზემოაღნიშნულ სამუშაოთა დაფინანსების გეგმები და აგრეთვე ხელი შეუწყოს ამ სამუშაოთა საწარმოებლად და თავის დროზე დასაფინანსებლად საჭირო სახსრის გიმოძებნას;

დ) ხელი შეუწყოს კოლხიდის დაბლობის დაშრობისა და სამეურნეოდ გამოყენების სამუშაოთა მომარაგებას საშენი მასალით და მექანიკური გაწყობილობით, მუშათა მომარაგების გაუმჯობესებას და კვალიფაციური და არაკვალიფიციური მუშა-ძალის სათანადო კადრებით უზრუნველყოფას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. დაკისრებული ამოცანების შესასრულებლად კომიტეტს უფლება აქვს:

ა) დააკისროს უწყებებს, დაწესებულებებს და ორგანიზაციებს კომიტეტის მიზნებიდან გამომდინარე მინდობილობები და ამოცანები და აგრეთვე მოსთხოვოს საჭირო მასალებისა, ცნობებისა და დასკვნების წარდგენა; ბ) მოიწვიოს თათბირები კოლხიდის დაბლობის დაშრობისა და სამეურნეოდ გამოყენების საკითხების გამო; გ) წარუდგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიურ საბჭოს სათანადო მოხსენებები.

4. კოლხიდის დაბლობის დაშრობისა და სამეურნეოდ გამოყენების ხელშემწყობი კომიტეტი შესდგება თავმჯდომარისა, თავმჯდომარის მოადგილისა და წევრებისაგან, რომელთაც პერსონალურად დანიშნავს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო.

მუშაობისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად და მიმდინარე საკითხების გადასაწყვეტად კომიტეტი თავისი შედგენილობიდან გამოჰყოფს ბიუროს, რომელშიაც შევლენ კომიტეტის თავმჯდომარე, მისი მოადგილე და სამი წევრი.

5. კომიტეტში საკითხების განხილვის წესს განსაზღვრავს თვით კომიტეტი.

6. კომიტეტისათვის ტეხნიკური მომსახურეობის გაწევა დაეკისრება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობას.

---

49. დადგენილება ს.კ.ს.

კოლხიდის დაბლობის დაშრობის სამშენებლო სამმართველოს (კოლხიდმშენის) დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს შემდეგი დებულება კოლხიდის დაბლობის დაშრობის სამშენებლო სამმართველოს (კოლხიდმშენის) შესახებ.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **რ. შომახია.**

1932 წ. იანვრის 4.

ტფილისი.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

კოლხიდის დაბლობის დაშრობის სამშენებლო სამმართველოს (კოლხიდმშენის) შესახებ.

I. ზოგადი დებულებანი.

1. კოლხიდის დაბლობის დაშრობის სამშენებლო სამმართველო (კოლხიდმშენი) არის საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოს გამგებლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაში და მის ამოცანას შეადგენს კოლხიდის დაბლობის დაშრობა იმ მიზნით, რომ განსაზოგადოებულმა სოფლის მეურნეობამ გამოიყენოს სათანადო ტერიტორია, უმთავრესად, საფეიქრო-სუბტროპიკული კულტურებისათვის.

2. ზემოაღნიშნული ამოცანის განსახორციელებლად კოლხიდმშენი:

ა) აწარმოებს საჭირო საკვლევო, საცდელ-საკვლევო და საძიებლო მუშაობას;

ბ) შესრულებული ძიების საფუძველზე შეადგენს კოლხიდის ჭაობების დაშრობის პროექტს;

გ) აწარმოებს პროექტის თანახმად სამშენებლო მუშაობას კოლხიდის ჭაობების დასაშრობად;

დ) გადასცემს დაშრობით მიღებულ ფართობს და ყველა მუდმივ ნაგებობას, რაც ამ ფართობზეა, სათანადო სამეურნეო ორგანიზაციებს.

3. კოლხიდმშენის სამმართველოს მუდმივი სამყოფელი ადგილი არის ქალაქი ფოთი.

4. კოლხიდმშენის სამმართველოს აქვს ბეჭედი საქართველოს სსრ-ის სახელმწიფო ღერბის გამოსახულებით და თავისი სახელწოდების აღნიშვნით.

5. საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველო იმ მშენებლობის მიმართ, რასაც კოლხიდმშენი ანხორციელებს, განაგებს შემდეგ საკითხებს:

ა) მშენებლობის საერთო და წლიური საწარმოო-საფინანსო გეგმებისა, ამშენებლობის ყოველწლიური ხარჯთაღრიცხვებისა და აგრეთვე ანგარიშების დაბალანსების განხილვას და მათ წარმართვას დასამტკიცებლად, არსებული წესის დაცვით, ხოლო სათანადო შემთხვევაში—მათ დამტკიცებას;

ბ) კვლევისა და ძიების პროგრამების და მშენებლობის სქემატიური პროექტების და ტეხნიკური პროექტების განხილვას და დასამტკიცებლად წარმართვას, არსებული წესისამებრ, ხოლო სათანადო შემთხვევაში—მათ დამტკიცებას, როდესაც მათი დამტკიცების უფლება ამა დებულებით (მე-7 მუხ. „ბ“ პუნ.) მინიჭებული არ აქვს კოლხიდმშენის სამუშაოთა უფროსს;

გ) მშენებლობის საერთო მეთვალყურეობას, კერძოდ, დამტკიცებული გეგმებისა, პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების სისწორით და თავის დროზე აღსრულებას;

დ) კანდიდატების არჩევას სამუშაოთა უფროსის, მისი მოადგილის და მთავარი ინჟენერის თანამდებობისათვის და მთავარი ბუხჰალტერის დამტკიცებას.

II. კოლხიდმშენის მმართველი ორგანოები.

6. კოლხიდმშენის სათავეში სდგას სამუშაოთა უფროსი, რომელსაც საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოს წარდგენით დანიშნავს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო. კოლხიდმშენის სამუშაოთა უფროსს ჰყავს ორი მოადგილე, რომელნიც იმავე წესით დაინიშნებიან. კოლხიდმშენის სამუშაოთა უფროსის ერთ-ერთი მოადგილე მთავარი ინჟენერია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. კოლხიდმშენის სამუშაოთა უფროსს დაეკისრება ხელმძღვანელობა გაუწიოს მშენელობის ყველა სამუშაოს, კერძოდ:

ა) შეიმუშაოს მშენებლობის საერთო და წლიური საწარმოო-საფინანსო გეგმები და ყოველწლიური ხარჯთაღრიცხვები, წარუდგინოს ეს გეგმები და ხარჯთაღრიცხვები საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოს და დაამტკიცოს სამუშაოთა დაფინანსების კალენდარული გეგმები;

ბ) დაამტკიცოს ძიებისა, კვლევისა და დაკვირვების პროგრამები 25.000 მან. ფარგლებში; აწარმოოს საბოლოო ეკონომიური და ტეხნიკური ძიება და შეამოწმოს წინათ წარმოებული ძიება; შეადგინოს სქემატიური და დეტალური ტეხნიკური პროექტები და დაამტკიცოს ეს პროექტები 500.000 მან. ფარგლებში; დაამტკიცოს შეფასების ნუსხები, სამუშაოთა წარმოების ტეხნიკური პირობები და სხვ.;

გ) აწარმოოს მუშაობა სამეურნეო, სანარდო ან შერეული წესით, დამტკიცებული პროექტებისა და კალენდარული გეგმების თანახმად, და ტეხნიკური ზედამხედველობა გაუწიოს ამ მუშაობას;

დ) განკარგოს, კანონითა და წესებით დადგენილი წესის დაცვით, მშენებლობისათვის გაცემული სახსარი;

ე) დაამზადოს და შეიძინოს საჭირო სამეურნეო და ტეხნიკური ინვენტარი, გაწყობილობა და მასალა; მოაწყოს დამხმარე საწარმოო ერთეულები (სახელოსნო, დროებითი საძალო სადგური, ტრანსპორტი, საწყობი და სხვ.), რაც საჭიროა შენობებისათვის მასალის დასამზადებლად და რაც დანიშნულია სამშენებლო სამუშაოთა რაციონალიზაციისა და მექანიზაციისათვის;

ვ) შეიძინოს და გაასხვისოს, კანონით დადგენილი წესისამებრ, ყოველგვარი ქონება; აღძრას სათანადო ორგანოების წინაშე შუამდგომლობა მშენებლობისათვის საჭირო მიწების მიჩენის შესახებ; დასდვას, მშენებლობის ამოცანების შესაბამისად, ყოველგვარი გარიგება, მათ შორის ნარდად მუშაობის, გაყიდვა-მიწოდების, ნასყიდობის და ქონების ქირავნობის ხელშეკრულება; შეასრულოს საკრედიტო და საფინანსო ოპერაციები, საწარმოო-საფინანსო გეგმებით გათვალისწინებულ ფარგლებში და საკრედიტო წესების დაცვით, კერძოდ: გახსნას საკრედიტო დაწესებულებებში მარტივი და სპეციალური მიმდინარე ანგარიში; აკრედიტივი და საკონტოკორენტო ანგარიში; გამოვიდეს სასამართლო და საადმინისტრაციო დაწესებულებებში როგორც პირადად, ისე წარმომადგენლის მეშვეობით, რომელსაც მისცემს სათანადო რწმუნებულებას; გასცეს ყოველგვარი სხვა რწმუნებულება როგორც საერთო ხასიათისა, ისე ცალკეული მინდობილობის შესასრულებლად და საერთოდ შეასრულოს ყოველგვარი იურიდიული აქტი, რაც საჭიროა კოლხიდმშენისათვის დაკისრებული ამოცანების განსახორციელებლად;

ზ) მოაწყოს მშენებლობის აღნუსხვა და ანგარიშგება, დაამტკიცოს ინსტრუქცია ანგარიშგების წარმოების ფორმებისა და წესისათვის, ამ საგანზე და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დგენილი წესების შესაბამისად, და აგრეთვე წარუდგინოს ანგარიშები და ბალანსები საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოს;

თ) მოაწყოს მშენებლობის აპარატი, დაამტკიცოს, კანონით დადგენილი წესისამებრ, მშენებლობის ადმინისტრატიული, ტეხნიკური და სამეურნეო პერსონალის შტატი და სამუშაო ხელფასის განაკვეთები; განსაზღვროს მშენებლობის განყოფილებათა, სამსახურთა და ნაწილთა გამგებლობის საგანი და მოქმედების წესი, შეაგროვოს და დაიქირაოს მუშა-ხელი, დანიშნოს, ერთი ადგილიდან მეორეზე გადაიყვანოს და დაითხოვოს მუშა-მოსამსახურენი, გაანაწილოს მოვალეობანი თავის თავსა, მოადგილესა და მთავარ ინჟენერს შორის; დასდვას კოლექტიური და პერსონალური შრომითი ხელშეკრულება;

ი) იქონიოს ურთიერ მიმართვა, არსებული წესების დაცვით, თავის გამგებლობის საგანთა გამო ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კოოპერატიულ დაწესებულებასთან და აგრეთვე კერძო პირებთან.

8. კოლხიდმშენის სამუშაოთა უფროსი თავისი მოქმედების ანგარიშს წარუდგენს საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოს და აგრეთვე წარუდგენს პერიოდულ მოხსენებებს ხელისუფლების სათანადო ადგილობრივ ორგანოებს;

9. მშენებლობის მთავარი ინჟენერი სამუშაოთა უფროსის უახლოესი თანაშემწეა და პასუხსაგებ ხელმძღვანელობას უწევს მშენებლობის მთელ ტეხნიკურ ნაწილს, კერძოდ, განაგებს გამოკვლევების და ძიების პროგრამებისა და სქემატიური და დეტალური ტეხნიკური პროექტების შედგენას და სამშენებლო სამუშაოთათვის მეთვალყურეობისა და ტეხნიკური ხელმძღვანელობის გაწევას.

10. კოლხიდმშენთან არსებობს საცდელ-საკვლევო სადგური, რომელიც მოქმედობს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებული განსაკუთრებული დებულების საფუძველზე.

III. კოლხიდმშენის სახსარი.

11. კოლხიდმშენის სახსარს შეადგენს: ა) ასიგვნები საერთო-სახელმწიფო ბიუჯეტით; ბ) მიზნობრივი სახსარი, რასაც კოლხიდმშენს გადასცემენ სამეურნეო ორგანიზაციები განსაკუთრებული ხელშეკრულების და შეთანხმების თანახმად.

IV. დაშრობილი ფართობის გამოსავალის საექსპლოატაციოდ გადაცემა.

12. 1-ლ მუხლში აღნიშნული ამოცანების განხორციელების მიხედვით კოლხიდმშენი:

ა) გადასცემს საექსპლოატაციოდ სათანადო ორგანოებს, რომელთაც საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველო დაასახელებს, დაშრობილი ფართობის გამოსავალს ამ ფართობზე მდებარე ყველა მუდმივი ნაგებობით და მონაწყობით, რისთვისაც შესდგება სათანადო მიღება-ჩაბარების აქტი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) წარუდგენს საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოს დასკვნითს ბალანსს და მატერიალურ და ტეხნიკურ ანგარიშს მშენებლობის თვითეული დამთავრებული და საექსპლოატაციოდ გადაცემული ობიექტისათვის.

V. კოლხიდმშენის ლიკვიდაცია.

13. დაკისრებული მშენებლობის დამთავრებისას კოლხიდმშენი ლიკვიდირებულ უნდა იქნეს.

ამ ლიკვიდაციის ვადას განსაზღვრავს საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველო, ხოლო იგი არ შეიძლება ერთ წელიწადზე მეტი იყოს.

14. ლიკვიდაცია დაეკისრება სალიკვიდაციო კომისიას, რომელსაც მოაწყობს საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველო თავმჯდომარისა და ორი წევრის შედგენილობით; კომისიის ერთ-ერთ წევრს დანიშნავს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი.

სალიკვიდაციო კომისია მოახდენს მთლად იმ ქონების რეალიზაციას, რაც კოლხიდმშენის განკარგულებაში იყო, და გამოარკვევს ყველა პრეტენზიას კოლხიდმშენისადმი, რის განსახორციელებლადაც მას აქვს კოლხიდმშენის სამუშაოთა უფროსისათვის მინიჭებული უფლებები.

კრედიტორებს უფლება ეძლევათ თითონვე განუცხადონ თავიანთი პრეტენზია სალიკვიდაციო კომისიას ლიკვიდაციის დამთავრებისათვის დანიშნულ ვადის გასვლამდე.

ის პრეტენზია, რომელსაც სალიკვიდაციო კომისია ვერ გამოარკვევს და რომელიც კრედიტორის მიერ აღნიშნულ ვადაზე განცხადებულ არ იქნება, გაბათილებულად ჩაითვლება.

15. იმ პრეტენზიას, რომელსაც სალიკვიდაციო კომისია სრულიად ან ნაწილობრივ სცნობს, იგი დაუყოვნებლივ დააკმაყოფილებს. სრულიად ან ნაწილობრივ არცნობილი პრეტენზიის შესახებ სალიკვიდაციო კომისია აცნობებს ხელწერილით კრედიტორს, რომელსაც უფლება აქვს განაცხადოს პრეტენზია სახელმწიფო არბიტრაჟის წესით ან აღძრას სარჩელი სათანადო სასამართლოში თხუთმეტი დღის ვადაზე სალიკვიდაციო კომისიის ცნობის მიღების დღიდან.

უკეთუ სადაო საქმე ლიკვიდაციის დასრულებისათვის დანიშნულ ვადაზე არ დამთავრდა, განცხადებული პრეტენზიის თუ სარჩელის დასაფარავად საჭირო თანხას სალიკვიდაციო კომისია შეიტანს საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოს დეპოზიტად.

ყველა პრეტენზიის დაფარვისა და უზრუნველყოფის შემდეგ დარჩენილი თანხა და აგრეთვე დეპოზიტად შეტანილი თანხა, რამდენადაც კრედიტორის სარჩელი უარყოფილ იქნება კანონიერ ძალაში შესული სახელმწიფო არბიტრაჟის დადგენილებით ან სასამართლოს გადაწყვეტილებით, მიიქცევა სახელმწიფოს შემოსავლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სალიკვიდაციო კომისიის მოქმედების მოსპობის დღისთვის დაუმთავრებელ სადაო საქმეს აწარმოებს საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველო.

16. ლიკვიდაციის ანგარიშს ყველა დოკუმენტით სალიკვიდაციო კომისია წარუდგენს საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოს.

17. კოლხიდმშენის ვალისათვის, რაც ლიკვიდაციის წესით დაკმაყოფილებულ არ იქნება, სამმართველოს და სალიკვიდაციო კომისიის განკარგულებაში ქონებული სახსრის ნაკლებობის გამო, სამმართველოს და სალიკვიდაციო კომისიის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს სახელმწიფო—საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოს სახით.

სასამართლო წყობილება და სამართლის წარმოება

50. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

„ფაბრიკასა, ქარხანასა, სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებასა და საწარმოში მომქმედი საწარმოო-საამხანაგო სასამართლოების თაობაზე“ გამოცემული დადგენილების მე-13 მუხლისათვის „ზ“ პუნქტის დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

„ფაბრიკასა, ქარხანასა, სახელმწიფო დაწესებულებასა და საწარმოში მომქმედი საწარმოო-საამხანაგო სასამართლოების შესახებ“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების მე-13 მუხლს (საქ. სსრ კან. კრებ. 1931 წ. მე-11 №-ი, მუხ. 129) დაემატოს პუნქტი „ზ“ შემდეგი შინაარსისა:

[13. საწარმოო-საამხანაგო სასამართლოს შეუძლიან შეუფარდოს მცირე დანაშაულის ჩამდენ პირს შემდეგი საზედმოქმედო ღონისძიება:...]

„ზ) მომარაგების უმაღლეს ჯგუფიდან დაბალ ჯგუფში გადაყვანა ვადით არა უმეტეს 3 თვისა“.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. გოგია.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1932 წ. მარტის 5.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 64 №-ში 1932 წ. მარტის 17.

ეროვნული ბიბლიოთეკა

51. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

„საბინაო კოოპერატიულ ამხანაგობებთან და სახელმწიფო და მუნიციპალურ სახლებში არსებული საამხანაგო სასამართლოების თაობაზე“ გამოცემული დადგენილების შეცვლისა და დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. „საბინაო კოოპერატიულ ამხანაგობებთან და სახელმწიფო და მუნიციპალურ სახლებში არსებული საამხანაგო სასამართლოების შესახებ“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. ოქტომბრის 17-ის დადგენილების მე-2 მუხლი (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. 22 №-ი, მუხ. 239) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„2. საამხანაგო სასამართლოები მოეწყობა საბინაო კოოპერატიულ ამხანაგობებთან და სახელმწიფო და მუნიციპალურ სახლებში, უკეთუ მათში ასაკოვანი მოსახლეობა 400 სულზე ნაკლები არ არის“.

2. ზემოაღნიშნული დადგენილების მე-2 მუხლის შენიშვნა ამოშლილ იქნეს.

3. ზემოაღნიშნული დადგენილების მე-5 მუხლს დაემატოს პუნქტი „გ“ შემდეგი შინაარსისა: [5. საამხანაგო სასამართლო ამა დადგენილების მე-4 მუხლში აღნიშნულ საქმეებს განიხილავს:...]

„გ) როდესაც ისეთ სახლში მცხოვრები მოქალაქენი, სადაც საამხანაგო სასამართლო არ არსებობს, ურთიერთი შეთანხმებით, მიმართავენ მათ საცხოვრებელ ადგილზე ახლო მყოფ საამხანაგო სასამართლოს“.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. გოგია.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1932 წ. მარტის 5.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 64 №-ში 1932 წ. მარტის 17.

---

52. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლისათვის მე-2 შენიშვნის დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მე 2 მუხლის წესისამებრ (საქ. სსრ კან. კრ. 1924 წ. 1-ლი

№-ი, მუხ. 7) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის (ახალი რედაქციით) მე-2 მუხლს (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-19 №-ი, მუხ. 205) დაემატოს მე-2 შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

„**შენიშვნა 2.** იმ დავას სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა შორის, რაც 100 მან. არ აღემატება, სასამართლო სრულიადაც არ მიიღებს განსახილველად“.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. გოგია.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1932 წ. მარტის 5.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 64 №-ში 1932 წ. მარტის 17.

მთავლიტი № 690. საქართველოს სახკომსაბჭოს სტამბა. ტირაჟი 1.200.